საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ორგანიზაციული ხარისხის პოლიტიკა

<u>საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მისიაა</u> :

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომელიც აღჭურვილი იქნება სათანადო ცოდნით, უნარებით, პასუხისმგებლობებით და ავტონომიით.
- გაუღვივოს სტუდენტებს ცნობიერება სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

<u>ხარისხის პოლიტიკა</u> - საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით ორგანიზაცია განახორციელებს ეფექტურ საგანმანათლებლო პროცესებს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის სკოლის მისიის რეალიზებას და თანხვედრაში იქნება დაინტერესებული მხარეების მოლოდინთან.
ხარისხის პოლიტიკის შესრულებისათვის, ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს **<u>მიზნები და სტრატეგიული მიმართულებები</u>** საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში.

სამართლის სკოლის მიზანია აღზარდოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები სამართლის სფეროში, დაამკვიდროს განათლების მაღალი სტანდარტი, რაც მოიაზრებს სასწავლო პროცესის ეფექტურობის უზრუნველყოფას და საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განვითარებას დარგის, შრომის ბაზრის და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

სამართლის სკოლის მიზნების განხორციელებისათვის საჭირო ამოცანებია ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის და შედეგიანობის მუდმივი გაუმჯობესება.

ხარისხის პოლიტიკა არსებობს როგორც დოკუმენტირებული ინფორმაცია,არის გაგებული სამართლის სკოლის პერსონალის მიერ და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის საჭიროების შემთხვევაში.

<u>დამტკიცებულია:</u>

„საქართველოს უნივერსიტეტის“ სამართლის სკოლის დირექტორი ქ-ნი _____

20 / 04 / 2019 წელი

ვერსია: 01